

სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბური“

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8



შპს KPMG Georgia
 ბესიკის ქ. 4, მე-2 სართ.
 თბილისი, 0108
 საქართველო

ტელეფონი
 ფაქსი
 ინტერნეტი

+995 (32) 2 950719
 +995 (32) 2 982276
 www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია კოპენზურის აქციონერს

ჩვენ აუდიტი ჩავუტარეთ სს სადაზღვევო კომპანია კოპენზურის (შემდგომში „კომპანია“) თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, და იმავე თარიღით დასრულებული წლისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შენიშვნებს, რომლებიც ეხება ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკის შეფასებებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომლის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საბუღალტრო შეფასებების ადეკვატურობის შეფასებას და ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის.

KPMG Georgia LLC

შპს KPMG Georgia


15 აპრილი 2016




სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბურგი“
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2015 წლისათვის

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
მოზიდული პრემია, ბრუტო	5	7,918	2,292
გადამზღვეველის კუთვნილი პრემია	5	(1,814)	(806)
მოზიდული პრემია, ნეტო		6,104	1,486
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	5	(1,855)	(1,927)
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვის ცვლილებაში.	5	20	656
გამომუშავებული პრემია, ნეტო		4,269	215
ანაზღაურებული ზარალები, ნეტო	6	(3,415)	(179)
ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში, ნეტო	6	(386)	(57)
ზარალები, ნეტო		(3,801)	(236)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან		191	5
აკვიზიციური ხარჯები	7	(1,018)	(70)
გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი		498	30
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		139	(56)
მოგება საინვესტიციო და სხვა საქმიანობებიდან		499	86
ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,611)	(615)
ზარალი დაბეგრამდე		(973)	(585)
მოგების გადასახადი	9	160	86
ზარალი და სრული ზარალი წლის/პერიოდის განმავლობაში		(813)	(499)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2016 წლის 15 აპრილს და
 ხელმოწერილია მათი სახელით შემდეგი პირების მიერ:


 ლევან კოპლატაძე
 გენერალური დირექტორი


 ანა კლდიაშვილი
 უფროსი ბუღალტერი



'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი, 2014
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	448	296
არამატერიალური აქტივები		149	31
გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	246	86
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	7	267	237
ავანსები და სხვა აქტივები		91	58
გადაზღვევლის წილი სადაზღვევო რეზერვებში	11	925	677
დაზღვევა და სხვა მოთხოვნები	12	5,232	1,646
ბანკებში განთავსებული თანხები	13	1,150	1,150
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	504	318
სულ აქტივები		<u>9,012</u>	<u>4,499</u>
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვები	11	4,474	2,005
დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები	15	2,846	814
სხვა ვალდებულებები	16	372	361
სულ ვალდებულებები		<u>7,692</u>	<u>3,180</u>
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	2,632	1,818
აკუმულირებული ზარალი		(1,312)	(499)
სულ კაპიტალი		<u>1,320</u>	<u>1,319</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>9,012</u>	<u>4,499</u>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება განიხილება გვერდებზე 8-დან 33-მდე მოცემული ფინანსური ანგარიშგების ნაწილად და წარმოადგენს მის ნაწილს.

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ზარალი მოგების დაბეგრამდე		(973)	(585)
<i>კორექტირება:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	81	16
საპროცენტო ხარჯი		10	-
საპროცენტო შემოსავალი		(90)	(43)
უცხოური ვალუტის გადაფასებით მიღებული წმინდა მოგება		(331)	(43)
<i>ცვლილება:</i>			
გადავადებული აკვიზიციური ხარჯი	7	(30)	(237)
პრემიის რეზერვები, გადაზღვევის გამოკლებით		1,835	1,271
დაუფარავი ზარალი, გადაზღვევის გამოკლებით		386	57
სადაზღვევო მოთხოვნები		(938)	(1,304)
სხვა მოთხოვნები		(2,045)	(262)
ავანსები და სხვა აქტივები		(33)	(58)
გადაზღვევა და სხვა ვალდებულებები		1,851	1,175
მიღებული პროცენტი		-	7
ბანკებში განთავსებული თანხები		-	(1,150)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(277)	(1,156)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შექმნა		(351)	(344)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(351)	(344)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან აქციების გამოშვებისგან მიღებული შემოსავალი წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	17	814	1,818
		814	1,818
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა		186	318
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		318	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	14	504	318

ფულადი ნაკადების ანგარიშგება განიხილება გვერდებზე 8-დან 33-მდე მოცემული ფინანსური ანგარიშგების
 ნაწილად და წარმოადგენს მის ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია კოპენბურგი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2015 წლისათვის

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 8 მაისის მდგომარეობით (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-
სულ სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(499)	(499)
სულ სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(499)	(499)
ოპერაციები მფლობელებთან, პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული სააქციო კაპიტალის გამოშვება	1,818	-	1,818
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,818	(499)	1,319
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,818	(499)	1,319
სულ სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(813)	(813)
სულ სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(813)	(813)
ოპერაციები მფლობელებთან, პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული სააქციო კაპიტალის გამოშვება	814	-	814
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,632	(1,312)	1,320

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება განიხილება გვერდებზე 8-დან 33-მდე მოცემული ფინანსური ანგარიშგების ნაწილად და წარმოადგენს მის ნაწილს.

1 ანგარიშგების ორგანიზაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სადაზღვევო კომპანია სს „კოპენზური“ (შემდგომში „კომპანია“) არის ქართული სააქციო საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ. კომპანია რეგისტრირებულია 2014 წლის 8 მაისს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: წერეთლის გამზირი, 8 ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტის უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია სადაზღვევო ლიცენზია, რომელიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 14 ივლისს.

კომპანიის მფლობელია შპს „Maritime Overseas Partners Georgia“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი, ფრანკო ვიდიჩევი.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ის საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზეა დამოკიდებული, რომელსაც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები აქვს. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სფერო ვითარდება, მაგრამ არაერთგვაროვნად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებას განიცდის, რაც საკანონმდებლო და ფინანსურ ბარიერებთან ერთად დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის. ფინანსური ანგარიშები ასახავენ ხელმძღვანელობის მიერ მათ საქმიანობებზე და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელთა შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

3 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს და იმავდროულად არის წარსადგენი ვალუტა. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

4 შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-თან შესაბამისობაში მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომელიც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების პრინციპების გადახედვა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებულ კრიტიკულ მსჯელობებზე რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე განმარტებულია 23-ე (ბ) (ii) შენიშვნაში - სადაზღვევო კონტრაქტების აღიარება და შეფასება

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ ჰქონია მსჯელობებსა და დაშვებებს, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

რეალური ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს რეალური ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულება განისაზღვრა განმარტების და გაზომვის მიზნებისათვის.

რეალური ღირებულება დაჯგუფებულია, რეალური ღირებულების იერარქიაში სხვადასხვა დონეების მიხედვით იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: კოტირებული ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული); და
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფებული იყოს რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი, რომელიც არის მნიშვნელოვანი მთლიანი შეფასებისთვის.

შემდგომი ინფორმაცია რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებულ დაშვებებზე მოცემულია მე-20 (ა) შენიშვნაში - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება

5 წმინდა გამომუშავებული პრემიები

'000 ლარი 2015	ავტო დაზღვევა (კასკო)	ქონების დაზღვევა	სხვა	სულ
მოზიდული პრემია, ბრუტო	7,344	371	203	7,918
გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება	(1,686)	(110)	(59)	(1,855)
გამომუშავებული პრემია, ბრუტო	5,658	261	144	6,063
მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია	(1,603)	(164)	(47)	(1,814)
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიის რეზერვის ცვლილებაში	70	(54)	4	20
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიებში	(1,533)	(218)	(43)	(1,794)
გამომუშავებული პრემია, ნეტო	4,125	43	101	4,269
'000 ლარი 2014	ავტო დაზღვევა (კასკო)	ქონების დაზღვევა	სხვა	სულ
მოზიდული პრემია, ბრუტო	2,102	154	36	2,292
გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება	(1,790)	(113)	(24)	(1,927)
გამომუშავებული პრემია, ბრუტო	312	41	12	365
მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია	(595)	(206)	(5)	(806)
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიის რეზერვის ცვლილებაში	510	145	1	656
გადაზღვევის წილი გამომუშავებულ პრემიებში	(85)	(61)	(4)	(150)
გამომუშავებული პრემია, ნეტო	227	(20)	8	215

6 წმინდა ზარალები

'000 ლარი 2015	ავტო დაზღვევა (Casco)	ქონების დაზღვევა	სხვა	სულ
ანაზღაურებული ზარალები	4,399	128	275	4,802
ანაზღაურებული ზარალების გადამზღვევლის წილი	(1,274)	(41)	(72)	(1,387)
ანაზღაურებული ზარალები, გადაზღვევის გამოკლებით	3,125	87	203	3,415
გაცხადებული ზარალების რეზერვის ცვლილება	569	14	31	614
გაცხადებულ ზარალებში გადამზღვევლის წილის ცვლილება	* (214)	(6)	(8)	(28)
სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვის ცვლილება	355	8	23	386
წმინდა ზარალები	3,480	95	226	3,801

'000 ლარი 2014	ავტო დაზღვევა (Casco)	ქონების დაზღვევა	სხვა	სულ
ანაზღაურებული ზარალები	(200)	(7)	(38)	(245)
ანაზღაურებული ზარალების გადამზღვეველის წილი	55	1	10	66
ანაზღაურებული ზარალები, გადაზღვევის გამოკლებით	(145)	(6)	(28)	(179)
გაცხადებული ზარალების რეზერვის ცვლილება	(78)	-	-	(78)
გაცხადებულ ზარალებში გადამზღვეველის წილის ცვლილება	21	-	-	21
სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვის ცვლილება	(57)	-	-	(57)
წმინდა ზარალები	(202)	(6)	(28)	(236)

ყველა უზუსტობა გაცხადებული ზარალების რეზერვში არსებულ ზარალების გადახდასთან დაკავშირებით როგორც წესი ერთ წელში ზუსტდება.

7 აკვიზიციური ხარჯები

'000 ლარი	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
დაზღვევის საკომისიოს ხარჯი	476	178
ჩანაცვლების სერვისის ხარჯები	215	19
საბროკერო და სხვა აკვიზიციური ხარჯები	572	129
სულ აკვიზიციური ხარჯები	1,048	307
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში	(30)	(237)
აკვიზიციური ხარჯები პერიოდის განმავლობაში	1,018	70

8 ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	743	175
პროფესიული ხარჯები	314	277
საოფისე ხარჯები	223	109
ცვეთა	81	16
სხვა ხარჯები	250	38
	1,611	615

9 გადასახადები

კომპანიის საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადი - 15% (2014: 15%).

'000 ლარი	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
გადავადებული საგადასახადო სარგებელი დროებითი სხვაობების წარმოშობა	160	86
	160	86

მომრავობა დროებით სხვაობებში წლის/პერიოდის განმავლობაში

'000 ლარი	1 იანვარი 2015	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2015
ძირითადი საშუალებები	(26)	(24)	(50)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	(23)	(10)	(33)
სხვა	(11)	(34)	(45)
საგადასახადო ზარალის გადატანა	146	228	374
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	86	160	246

'000 ლარი	2014 წლის 8 მაისი (რეგისტრაციის დღე)	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2014
ძირითადი საშუალებები	-	(26)	(26)
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	-	(23)	(23)
სხვა	-	(11)	(11)
საგადასახადო ზარალის გადატანა	-	146	146
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	86	86

კომპანიას არ აქვს პირდაპირ კაპიტალში აღიარებული ან არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

გამოქვითვადი დროებითი სხვაობები არ არის შეზღუდული მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 246 ათასი ლარის ოდენობის აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი სრულად ანაზღაურებადია, ვინაიდან კომპანიას ექნება საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის სარგებლის გამოყენებას კომპანია შეძლებს, როდესაც კომპანიის მოგება გახდება სტაბილური ოპერაციების პირველი ორი წლის შემდეგ და კომპანიას ნაკლებად მოუწევს აკვიზიციური ხარჯების გაწევა.

10 ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	ავეჯი და მოწყობილობა	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2014 წლის 8 მაისის მდგომარეობით (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-
შესყიდვა	172	141	313
გაყიდვა	(1)	-	(1)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	171	141	312
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	171	141	312
შესყიდვა	210	12	22
ნაშთი, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	381	153	534
დაგროვილი ცვეთა			
ნაშთი 2014 წლის 8 მაისის მდგომარეობით (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	10	6	16
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10	6	16
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10	6	16
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	55	15	70
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65	21	86
საბალანსო ღირებულებები			
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	161	135	296
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	316	132	448

11 სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015		
	ბრუტო	გადაზღვევა	ნეტო
გამოუმუშავებელი პრემია	3,782	(676)	3,106
შეტყობინებული ზარალის რეზერვი	692	(249)	443
სულ სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვები	4,474	(925)	3,549
'000 ლარი	31 დეკემბერი 2014		
	ბრუტო	გადაზღვევა	ნეტო
გამოუმუშავებელი პრემია	1,927	(656)	1,271
შეტყობინებული ზარალის რეზერვი	78	(21)	57
სულ სადაზღვევო კონტრაქტის რეზერვები	2,005	(677)	1,328

(a) გამოუმუშავებული პრემიის რეზერვის მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		1,927	-
მოზიდული პრემია, ბრუტო	5	7,918	2,292
გამომუშავებული პრემია, ბრუტო	5	(6,063)	(365)
ნაშთი პერიოდის ბოლოს		<u>3,782</u>	<u>1,927</u>

(b) ზარალების რეზერვებში მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

'000 ლარი	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის დღე) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	78	-
მიმდინარე წლის ზარალების სავარაუდო ღირებულება	5,416	319
პერიოდის განმავლობაში დაფარული ზარალები	(4,802)	(241)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	<u>692</u>	<u>78</u>

(c) დაშვებები და სენსიტიურობა

დაშვებათა განსაზღვრის პროცესი

დაშვებები, რომლებსაც იყენებენ სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, გამოხუნულია რეზერვების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით, რომლებიც წარმოიშევა სადაზღვევო კონტრაქტებიდან გონივრულად გათვალისწინების ფარგლებში.

რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობით, ზარალების დარეგულირების ხარჯის ჩათვლით და უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით.

ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

ხელმძღვანელობის აზრით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა აუნაზღაურებელი ზარალების ანარიცხების დადგენაში. საბოლოო შედეგი არ იქნება არსებითად განსხვავებული დადგენილი ვალდებულებისგან; კომპანიის სადაზღვევო პოლიტიკების შესაბამისად, ყველა ვალდებულების აღიარება ხდება ზარალის წარმოშობის დღეს, ხოლო 2015 წლის 31 მდგომარეობით აღიარებული ვალდებულებების დიდი ნაწილი დაკმაყოფილებული იყო წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის უფლებამოსილების დღეს.

12 დაზღვევა და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
მოთხოვნები პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან	2,705	1,347
მოთხოვნა გადამზღვევლისგან	2,279	262
სხვა მოთხოვნები	248	37
	<u>5,232</u>	<u>1,646</u>

კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან სადაზღვევო მოთხოვნებისთვის გაუქმებისას პოლისის გამოუმუშავებელი პრემიაც შესაბამისად უქმდება. პოლისი უქმდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დაზღვეულს არ სურს ან არ შეუძლია პოლისის პრემიების გადახდა.

კომპანია ქმნის ანარიცხებს სადაზღვევო მოთხოვნებისთვის მათი ვადიანობის ანალიზზე დაყრდნობით. კომპანია ასევე ქმნის რეზერვებს, როდესაც ფაქტები და ვითარებები გამოაქვნიან კონკრეტული კონტრაგენტის გადახდისუნარიობას. საანგარიშგებო დღისთვისპირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ძირითადი ნაწილი არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული (იხ. შენიშვნა 20 (b) (ii)).

13 ფულადი სახსრები ბანკში

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ვადიანი დეპოზიტები	1,150	1,150

ფულადი სახსრები ბანკში შედგება ვადიანი დეპოზიტებისგან. არცერთი დეპოზიტი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

ბანკებში განთავსებული თანხების კონცენტრაცია

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში განთავსებული თანხები, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ს.ს. საქართველოს ბანკი	850	850
ს.ს. ბანკი რესპუბლიკა	300	300
	1,150	1,150

ვადიანი დეპოზიტი 200 ათასი ლარის ოდენობით წლიური საპროცენტო განაკვეთით 6.75% იზღუდება კომპანიის მშობელი კომპანიის მიერ მიღებული სესხის საფუძველზე.

14 ფული და ფულის ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ნაღდი ფული სალაროში	21	4
საბანკო ნაშთი/ბალანსები	483	314
ფული და ფულის ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	504	318

საბანკო ნაშთები/ბალანსები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში. ბანკში არსებული არცერთი ნაშთი არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

15 დაზღვევის ან გადაზღვევის ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
აგენტისა და ბროკერის საკომისიო	62	82
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	2,784	732
	2,846	814

16 სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
სავაჭრო ვალდებულებები	154	179
სხვა ვალდებულებები	218	182
	<u>372</u>	<u>361</u>

17 კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(a) სააქციო კაპიტალი

<i>აქციების რაოდენობა, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული</i>	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ნომინალური ღირებულება	<u>1.818 ლარი</u>	<u>1.818 ლარი</u>
გამოშვებული აქციები, სრულად გადახდილი	<u>1,447,673</u>	<u>1,000,000</u>

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ აქვთ კომპანიის კრებებზე აქციაზე ერთი ხმის უფლება.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები ლიმიტირებულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გაუნაწილებელი მოგების ოდენობით.

(c) კაპიტალის მართვა

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მოთხოვნებს სადაზღვევო კომპანიებისათვის. ეს მოთხოვნები განკუთვნილია საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრების უზრუნველსაყოფად. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები, მთლიანი კაპიტალი არ უნდა იყოს 1 მილიონ ლარზე ნაკლები და კომპანიას უნდა ჰქონდეს ამ თანხის სულ მცირე 80% ფულის და ფულის ეკვივალენტის და ბანკში განთავსებული თანხების სახით.

კომპანია რეგულარულად მართავს კაპიტალის მოთხოვნებს, საანგარიშო და მინიმალურ კაპიტალს შორის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად. კაპიტალის სტრუქტურის უზრუნველსაყოფად კომპანიას შეუძლია შეცვალოს ანაზღაურებული დივიდენდების თანხა ან გაზარდოს მომავალი კაპიტალი.

კომპანია სრულ შესაბამისობაშია იყო დადგენილი კაპიტალის მოთხოვნებთან 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18 სადაზღვევო რისკის მართვა

(a) რისკების მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკების შემცირების პოლიტიკები

კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულებების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად კომპანია დგას გაურკვევლობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების დროის და სიმძიმის მიხედვით. მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო

შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან.

სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანია ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. კომპანია სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

(i) ანდერაიტინგული სტრატეგია

კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის არაურთიერთდამოკიდებულ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგის სტრატეგია ჩამოყალიბებულია კომპანიის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის მეთოდური მითითებების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრავს ანდერაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული პროდუქტისთვის. მეთოდური მითითებები მოიცავენ სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, აღებული რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომელიც გავლენას მოახდენს შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას.

ანდერაიტინგული გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის ხელმძღვანელობა მიმდინარე რეჟიმში.

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

კომპანია ახდენს მის მიერ ჩამოწერილი რისკების პოზიციის გადაზღვევას მის მიერ ზარალის გაკონტროლებისა და კაპიტალური რესურსების დაცვის მიზნით. კომპანია ყიდულობს ექსცედენტურ ზარალს გადაზღვევის საფუძველზე ქონების, ინჟინერინგის, ტვირთის, ბარგის გადამზიდავების ვალდებულების სადაზღვევო პოლისების რისკის შესამცირებლად. კომპანია ასევე ყიდულობს გადაზღვევის ხელშეკრულებებს მისი საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებისთვის, რაც იცავს კომპანიას ნებისმიერი კუმულატიური ზარალისგან, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას იგივე მოვლენით ან შემთხვევით გამოწვეული მრავალი მოთხოვნიდან.

გადაზღვევა მოიცავს საკრედიტო რისკს და ამგვარი გადაზღვევის ანაზღაურება აღირიცხება ცნობილი შეუსაბამობებისა და მიუღებელი ერთეულების შესაძლო დანაკარგების გამოკლებით. კომპანია რეგულარულად ახორციელებს გადამზღვევლის კრედიტუნარიანობის შემოწმებას და გადაზღვევის კონტრაქტების შეფასებას.

კომპანიის მომავალ გაურკვეველ მოვლენებთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკი უტოლდება ავტო და ყველა სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებების 70% და 50% , შესაბამისად. თუმცა 2015 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მომავალ გაურკვეველ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი უფრო მაღალია იმის გამო რომ კომპანიამ არ დადო შეთანხმება მთავარ გადამზღვეველთან. კომპანიის ისტორიული სადაზღვევო რისკის შეფასების შედეგად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ მიუხედავად შესაბამისი გადაზღვევის არქონისა, კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგია და სადაზღვევო პოლიტიკა ამცირებს სადაზღვევო რისკს მისაღებ დონემდე.

(b) *სადაზღვევო კონტრაქტების პირობები და დაფარული რისკების ხასიათი*

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებსაც მატერიალური გავლენა აქვთ კონტრაქტებიდან გამომდინარე მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, ვადიანობასა და გაურკვეველ მომავალზე, მოყვანილია ქვემოთ. ამასთან, ეს გვაძლევს კომპანიის მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის გზების შეფასების საშუალებას.

(i) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

პროდუქტის თვისებები

კომპანიას აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ორი ტიპი, მარის მთლიანი დაზღვევა („Casco“) და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL). „კასკოს“ კონტრაქტების მიხედვით, იურიდიული და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ მათი ავტომობილების მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით მიყენებული ზარალი. „MTPL“-ს მიხედვით ანაზღაურდება მესამე პირის ქონების ზიანით, სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით გამოწვეული კომპენსაცია. საავტომობილო დაზღვევა მოიცავს მოკლევადიან ანაზღაურებას. სწრაფად განხორციელებული ანაზღაურებები გულისხმობს დაზღვეულის ანაზღაურებას ავტომობილის ფიზიკურ ზიანსა თუ დანაკარგზე. ანაზღაურებები, რომლის განხორციელებასაც მეტი დრო სჭირდება, მეტად რთული შესაფასებელია და მოითხოვს მეტ დროს.

რისკების მართვა

ზოგადად საავტომობილო დაზღვევის ზარალების გაცხადებებს შორის ინტერვალი მცირეა და ზარალების სირთულე შედარებით დაბალი. მთლიანობაში დაზღვევის ამ სახეობის ზარალების ვალდებულებები განეკუთვნება საშუალო რისკს. კომპანია აკვირდება და რეაგირებს შეკეთების ხარჯების, ქურდობის სიხშირის და უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალების ტენდენციებს.

ზარალების სიხშირე გარკვეულწილად დამოკიდებულია ამინდის მდგომარეობაზე. ზარალების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის პერიოდში.

საავტომობილო დაზღვევის მიმართულემა ჩამოიწერება კომპანიის მიმდინარე გამოცდილების საფუძველზე. კომპანია ახდენს „Casco“ რისკების გადაზღვევას რისკების მართვა ხორციელდება ზარალების შესახებ საკუთარი სტატისტიკური ბაზის მიხედვით. რისკების გადაზღვევას კომპანია ახორციელებს გადაზღვევის კონტრაქტების მეშვეობით, რომლის საფუძველზეც კომპანიის ზარალის ოდენობა თითოეულ შემთხვევაზე არ აღემატება 70%-ს თითოეული და ყველა ზარალის შემთხვევისთვის.

(ii) ქონების დაზღვევა

პროდუქტის თვისებები

კომპანია გასცემს ქონების დაზღვევის პოლისებს. ეს მოიცავს იურიდიული პირის ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა ახდენს დაზღვეულის ანაზღაურებას, ლიმიტის ან ხარჯის შესაბამისად, საკუთარი მატერიალური ქონების დანაკარგსა და ზიანზე.

ზარალის გამოწვევი შემთხვევები, რომელიც იწვევს შენობის ან მასში განთავსებული ერთეულების დაზიანებას, ჩვეულებრივ, მოულოდნელად დგება (მაგალითად ხანძარი და ქურდობა) და გამოწვევი მიზეზის დადგენა ადვილად განსასაზღვრია. შესაბამისად, ზარალის შესახებ ინფორმირება მომენტალურად ხდება და შეიძლება შეუფერხებლად მოგვარდეს. აქედან გამომდინარე, ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესი კლასიფიცირებულია მოკლე დროში რეგულირებად შემთხვევად.

რისკების მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია: ანდერაიტინგული რისკი, კონკურენტული რისკი და ზარალების მოხდენის რისკი (მათ შორის სხვადასხვაგვარი ბუნებრივი კატასტროფა). კომპანიას ასევე გააჩნია განმცხადებლების მიერ შედეგების ხელოვნურად გაზრდის და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი.

ანდერაიტინგული რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია არ უყენებს შესაბამის პრემიებს სხვადასხვაგვარი ქონების დაზღვევას. ქონების კომერციული დაზღვევის შეთავაზებები შეიცავს მდებარეობის, ბიზნესის სახეობის და უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციებს. პრემიის დათვლის ერთგვაროვანი მიდგომა შეიძლება იყოს სუბიექტური, შესაბამისად მოიცავდეს რისკს.

მოცემული რისკების მართვა ძირითადად ხდება ფასების პოლიტიკით და გადაზღვევით. კომპანია იყენებს მკაცრ ანდერაიტინგულ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისაღები იყოს კომპანიისთვის. კომპანია საკუთარი ქონების რისკების გადაზღვევას ახორციელებს კოტირებული წილის გადაზღვევის ხელშეკრულების და ზარალის ექსცედენტური პროგრამით.

(c) სადაზღვევო რისკების კონცენტრაცია

კომპანიის წინაშე არსებული სადაზღვევო რისკის მთავარი ასპექტი არის სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის ზომა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან შინაარსობრივად დაკავშირებულ კონტრაქტებზე. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ რისკი შეიძლება აკუმულირებული იყოს მთელ რიგ ინდივიდუალურ სახეობებში ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტრანშებში.

რისკის კონცენტრაცია შესაძლოა წარმოიშვას იშვიათი და დიდი გავლენის მქონე შემთხვევებიდან, როგორც არის ბუნებრივი კატასტროფები, იმ შემთხვევებში როდესაც ანდერაიტინგი ფოკუსირებულია კონკრეტულ ჯგუფზე, როგორც არის კონკრეტული გეოგრაფიული მდებარეობა.

კომპანიაში ამ რისკების მართვის მთავარი მეთოდი ორი სახის არსებობს. პირველი, რისკის მართვა ხდება შესაბამისი ანდერაიტინგის კუთხით. დაუშვებელია ანდერაიტინგის დაამუშავოს რისკი თუ მოსალოდნელი მოგება არ იქნება რისკის შესაბამისი. მეორე არის გადაზღვევა. კომპანია მისი საქმიანობის სახვადასხვა სახეობისთვის ყიდულობს გადაზღვევის უზრუნველყოფას. ის აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს მიმდინარე რეჟიმში.

(d) გადაზღვევის რისკი

დაზღვევის რისკების შესამცირებლად კომპანია იყენებს გადაზღვევის სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ფარავენ ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. აღნიშნული გადაზღვევის პროგრამები ახდენენ რისკების განაწილებას და ამცირებენ ზარალების ეფექტს. თითოეული შენარჩუნებული რისკის თანხა დამოკიდებულია კონკრეტული რისკის შეფასებაზე კომპანიის მიერ.

გადაზღვევის კონტრაქტის შესაბამისად, გადამზღვეველი იძლევა თანხმობას ანაზღაუროს ზარალი მოთხოვნის ანაზღაურების შემთხვევაში. ამასთან, კომპანია ვალდებული რჩება მისი პოლისის მფლობელთა მიმართ ხსენებულ დაზღვევასთან მიმართებაში, თუ რომელიმე გადამზღვეველი ვერ დააკმაყოფილებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

გადამზღვეველის შერჩევისას კომპანია განიხილავს მის გადახდისუნარიანობას. გადახდისუნარიანობა დგინდება გადამზღვეველის რეიტინგის და „კომპანიის“ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

19 რეალური ღირებულება და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასება ხორციელდება ფასის განსასაზღვრად, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის მიზნით ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივ გარიგებაში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვეველობების და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული რეალიზებად ფასად აქტივების გაყიდვების ან ვალდებულებების გადაცემის პროცესში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს ჩვეულებრივი გარიგების პროცესში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს ფასდაკლებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება გაანგარიშდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთით საანგარიშგებო დღეს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლებულია მათ საბალანსო ღირებულებასთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება შემდეგ რისკებს მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან კავშირში:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- ბაზრის რისკი.

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რისკის, კომპანიის ვალდებულებებს, პოლიტიკებს და რისკის შეფასებისა და მართვის პროცესებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულია შემდგომი რაოდენობრივი მონაცემები.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელობასთან ერთად აქვს პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურის განსაზღვრაზე და კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე, ასევე აქციონერებისთვის მის სისტემატიურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას განსაზღვრული აქვს რისკის მართვის პოლიტიკები კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრის, ასევე რისკის მონიტორინგისა და შეზღუდვებისთვის დაქვემდებარების მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკების და სისტემების რეგულარულად გადაიხედება საბაზრო პირობების და კომპანიის საქმიანობების ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, შეიმუშავებს დისციპლინირებული და კონსტრუქტიული კონტროლის გარემოს, რომელშიც თანამშრომლებს გათვითცნობიერებული აქვთ თავისი ფუნქციები და ვალდებულებები. აქციონერები აკვირდებიან რამდენად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი კომპანიის მიერ რისკის მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობის კონტროლს და განიხილავს რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი, არის კომპანიის ფინანსური ზარალის განცდის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის ან სადაზღვევო კონტრაქტის კლიენტი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და რომელიც წარმოიშევა კომპანიის სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებებისგან, ბანკებში არსებული ნაშთებისგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან.

კომპანია ახდენს კონკრეტული რისკების გადაზღვევას გადამზღვეველ კომპანიებთან. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეფუძნება კონტრაგენტის გადახდისუნარიანობაზე, სანდოობასა და კრედიტუნარიანობაზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს.

სადაზღვევო ვალდებულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესამსუბუქებლად, კომპანიამ შეიმუშავა მკაცრი ანდერაიტინგული კრიტერიუმები. 2015 წლის და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით, სადაზღვევო ვალდებულებების 90%-ზე მეტი არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე უფლებამოსილების გაცემის თარიღისთვის, დაზღვეულთა უმეტესობა იხდიან მართებულ თანხებს 2015 წლის 31 დეკემბრისთვის შეთანხმებული და სადაზღვევო პოლისებში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ბანკებში განთავსებული თანხები და ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები ძირითადად ინახება ქართულ ბანკებში რომელთა მოკლევადიანი ემინენტის დეფოლტის რეიტინგი არის B, Fitch რეიტინგის მიხედვით. კომპანია არ მოელის რომელიმე კონტრაგენტისგან ვალდებულებების არშესრულებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანია ვერ ახერხებს ვალდებულებების გადახდას. ლიკვიდურობის რისკი დგება, როდესაც არ ემთხვევა აქტივების და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების თანხედრა და/ან კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის მართვის საფუძველს. ფინანსური ინსტიტუტებისათვის საკმაოდ იშვიათი და უჩვეულოა აქტივებისა და ვალდებულებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან წარმოებული ოპერაციები, ხშირ შემთხვევაში, ხასიათდება გაურკვეველი ვადითა და განსხვავებული ხასიათით. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის შემოსავალს, მაგრამ ასევე შესაძლოა სახეზე გვექონდეს რისკით გამოწვეული ზარალი.

კომპანია ახდენს ლიკვიდურობის მართვას, რათა უზრუნველყოს თანხების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს ყველა მართებული ფულადი ნაკადების ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიის მენეჯმენტი ლიკვიდურობის პოზიციებს ყოველდღიურად განიხილავს.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშევა კომპანიის სადაზღვევო და გადაზღვევის დავალიანებებთან და სხვა ვალდებულებებთან კავშირში, რომელთა ვადები არ აღემატება ერთ წელს.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააანალიზა 2015 წლის ფინანსური შედეგები და ფინანსური პოზიცია და მივიდა დასკვნამდე რომ კომპანიის ლიკვიდურობის რისკი, რომ ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულებების გადახდას არ არის არსებითი მნიშვნელობის მქონე, შესაბამისად არ არის მატერიალური უზუსტობა კომპანიის შესაძლებლობაში რომ განაგრძოს ოპერირება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ხელმძღვანელობის შეხედულება დაფუძნებულია შემდეგ ფაქტებზე და შეფასებებზე:

- 2015 წელს კომპანიას აქვს უარყოფითი ფულადი ნაკადების მოძრაობა, ოპერაციული საქმიანობიდან და წლის ზარალი 813 ათასი ლარი, თუმცა კომპანიის ნეტო აქტივებმა შეადგინა 1,320 ათასი ლარი და კომპანია ინარჩუნებს საკმარის საბანკო ბალანსებს რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები გადახდის თარიღისთვის.

- 2015 წელს კომპანიამ აჩვენა მომხმარებლის ბაზის მნიშვნელოვანი ზრდა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს გონივრულად იმას რომ კომპანია ზარალიანია მისი ოპერირების პირველ სრულ წელს და სჯერა რომ კომპანიის პირველი მომგებიანი წელი იქნება 2016. იგი მიიჩნევს რომ კომპანიის გამომუშავება დასტაბილურდება პირველი ორი წლის ოპერირების შედეგად.
- მშობელი კომპანია ფინანსურად ეხმარება კომპანიას. ამის დასტურია კაპიტალის ზრდა 2015 წლის მანძილზე (იხ. შენიშვნა 17 (ა)) და შემდგომი ზრდა 2016 წელს (იხ. შენიშვნა 25).

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც უკავშირდება სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს, კაპიტალის ფასის რისკი, რომლის გათვალისწინებით ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება შეიცვლება. საბაზრო რისკების მართვის მიზანს წარმოადგენს, რისკების მოცულობების მართვა და კონტროლი, ერთეულ რისკზე მოგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირებას მოგება-ზარალთან დაკავშირებული არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი:

კომპანიის სავალუტო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სადაზღვევო მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან, რომლების დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში. სავალუტო რისკის ზემოქმედება კომპანიაზე იყო შემდეგნაირად წარმოდგენილი:

'000 ლარი	ევროში	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში
	დენომინირებული 31 დეკემბერი 2015	დენომინირებული 31 დეკემბერი 2015	დენომინირებული 31 დეკემბერი 2014	დენომინირებული 31 დეკემბერი 2014
სადაზღვევო და სხვა მოთხოვნები	2,328	2,374	289	1,240
სხვა ვალდებულებები	-	(19)	-	(82)
სადაზღვევო და გადაზღვევის ვალდებულებები	(2,761)	-	(732)	-
ნეტ პოზიცია	(433)	2,355	(443)	1,158

პერიოდის განმავლობაში შემდეგი გაცვლითი კურსები იყო გამოყენებული:

ლარში	საშუალო კურსი	ანგარიშგების თარიღის კურსი
	2015	31 დეკემბერი 2015
1 ამერიკული დოლარი		2.2702
1 ევრო	2.5204	2.6169

ლარში	საშუალო კურსი	ანგარიშგების თარიღის კურსი
	8 მაისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2014 წლის 31 დეკემბრამდე	31 დეკემბერი 2014
1 ამერიკული დოლარი	1.7735	1.8636
1 ევრო	2.3142	2.2656

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გონივრულად შესაძლებელი გამყარება/(დასუსტება) დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 31 დეკემბრის 2015 წლისთვის შეცვლიდა ამერიკულ დოლარსა და ევროში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას და გავლენას იქონიებდა დაბეგვრის შემდგომ მოგებასა ან ზარალზე ქვევით მოყვანილი თანხებით. ანალიზი აკეთებს დაშვებას რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი რჩება მუდმივი და არ ითვალისწინებს გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზებს.

'000 ლარი	გამყარება	დასუსტება
	მოგება ან (ზარალი)	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2015		
ამერიკული დოლარი (20%-იანი მოძრაობა)	(400)	400
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	37	(37)

'000 ლარი	გამყარება	დასუსტება
	მოგება ან (ზარალი)	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2014		
ამერიკული დოლარი (20%-იანი მოძრაობა)	197	(197)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(38)	38

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ზემოქმედებს ძირითადად სესხებსა და მოთხოვნებზე ცვლის რა მათ რეალურ ღირებულებას (ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხი) ან მათთან დაკავშირებულ სამომავლო ფულად მოძრაობებს (ცვლად განაკვეთიანი სესხი). მენეჯმენტს არ აქვს ფორმალური პოლიტიკა თუ რამდენი უნდა იყოს კომპანიაზე გავლენა ფიქსირებული და ცვლადი განაკვეთების. თუმცა ახალი სესხის აღებისას მენეჯმენტი იყენებს თავის მოსაზრებას რომ გადაწყვიტოს ფიქსირებული თუ ცვლადი პროცენტი იქნება უფრო მომგებიანი კომპანიისთვის.

ანგარიშგების წარდგენის დღისთვის კომპანიის საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსურის ინსტრუმენტების პროფილი იყო შემდეგნაირი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ფიქსირებულ პროცენტის მქონე ინსტრუმენტები		
ბანკში განთავსებული თანხა	1,150	1,150
	<u>1,150</u>	<u>1,150</u>

რეალური ღირებულების სენსიტიურობის ანალიზი ფიქსირებულ პროცენტის მქონე ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აწარმოებს ფიქსირებულ პროცენტის მქონე ინსტრუმენტების აღრიცხვას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში. ამიტომ ცვლილება საპროცენტო განაკვეთში ანგარიშგების წარდგენის დღისათვის არ იქონიებს ეფექტს მოგება/ზარალზე ან კაპიტალზე.

20 განუსაზღვრელობები და პირობითი გარემოებები

(a) საგადასახადო განუსაზღვრელობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია,

წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ოთხ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

21 დაკავშირებული პირები

(a) მშობელი და მაკონტროლებელი პირი

კომპანიის უშუალო და უმთავრესი მშობელია კომპანია შ.პ.ს. „მარიტაიმ ოვერსიის პარტნერს ჯორჯია“. კომპანიის უმთავრესი მაკონტროლებელი პირი არის ფიზიკური პირი, ფრანსუა ვიდიჩევი.

კომპანიის მშობელს არ გამოუცია საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებები.

(b) მენეჯმენტის ანაზღაურება

000 ლარი	2015	2014 წლის 8 მაისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2014 წლის 31 დეკემბრამდე
ხელფასები და ბონუსები	103	33

22 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

23 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ყველა პერიოდებისათვის, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია აქ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა.

(a) უცხოური ვალუტის ტრანზაქციები

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ტრანზაქციის განხორციელების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირებულია სამუშაო ვალუტად, იგივე დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციურ ვალუტაში ამორტიზირებულ ღირებულების, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის მანძილზე გადახდებით და ამორტიზირებული ღირებულების რომელიც ანგარიშგების პერიოდი ბოლოსთვის გადმოყვანილია უცხოური ვალუტიდან.

არა-მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც მოყვანილია რეალური ღირებულებით და რომელთა ღირებულებაც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია საქმიანობის ვალუტაში იმ თარიღის კურსით, რა თარიღითაც განისაზღვრა რეალური ღირებულება.

კურსთაშორის სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი.

(b) სადაზღვევო კონტრაქტები

(i) კონტრაქტების კლასიფიკაცია

სადაზღვევო კონტრაქტები არის კონტრაქტები რის საფუძველზეც კომპანია იღებს სადაზღვევო რისკს სხვა მხარესგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ, გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებელზე.

სადაზღვევო რისკი განსხვავდება ფინანსური რისკისგან.

ფინანსური რისკი ეხება საპროცენტო განაკვეთის, ფასიანი ქაღალდების და სასაქონლო ფასების, სავალუტო კურსების, ფასების და განაკვეთების ინდექსების, საკრედიტო რეიტინგის და ინდექსების ან სხვა ცვლადების მომავალში შესაძლო ცვლილებებს, სადაც არაფინანსური ცვლადი არ არის განსაზღვრული კონტრაქტის მხარისათვის. სადაზღვევო კონტრაქტი შეიძლება ატარებდეს გარკვეულ ფინანსურ რისკს.

სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როცა სადაზღვევო შემთხვევამ კომპანიისთვის შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. სადაზღვევო კონტრაქტი, ასეთად კლასიფიკაციის შემდეგ რჩება ასეთად სანამ ყველა უფლება და მოვალეობა არ არის ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რითაც ხდება უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების კონტრაქტები აღრიცხულია, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

(ii) სადაზღვევო კონტრაქტების აღიარება და შეფასება

პრემიები

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში გამოწერილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად შეესაბამება შემდეგ საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლად. პრემიები გამომუშავდება პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად (პროპორციულად). გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურად (პროპორციულად). გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი, რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, აღიქმება როგორც წინასწარ გაწეული ხარჯი.

პოლისის გაუქმება

პოლისი უქმდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდების შემდგომი წარმოება (გაგრძელება). აქედან გამომდინარე, გაუქმება უმეტესწილად გავლენას ახდენს იმ პოლისებზე, სადაც პრემიის გადახდა ხდება შენატანების სახით პოლისის ვადის მანძილზე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამოუმუშავდეს მომდევნო წლის განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ - ცალკე ყოველ სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად (პროპორციულად).

სადაზღვევო ზარალები

დამდგარი ზარალები ნეტო, მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის ცვლილებასთან ერთად. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის მიერ, როგორც მომხდარი და განცხადებული ზარალების საბოლოო შეფასებულ ღირებულებას ასევე მომხდარი და განუცხადებელი ზარალების საბოლოო ღირებულებას ზარალების დარეგულირების ანარიცხების ჩათვლით.

ასანაზღაურებელი ზარალები დგინდება ზარალების ინდივიდუალური განხილვის და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორცაა ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებები და წარსული გამოცდილებები და ტრენდები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

დაგეგმილი გადაზღვევის და რეგრესების მისაღები თანხები აღიარებულია ცალკე როგორც აქტივი. გადაზღვევის და რეგრესების ამოღება დგინდება იმავენაირად, როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეზერვებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდით, როცა კორექტირება არის გაკეთებული და მატერიალურობის შემთხვევაში ცალკეა განმარტებული. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა ხდება რეგულარულად.

(iii) გადაზღვევა

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობისას სადაზღვევო ზარალის ლიმიტირების მიზნით. გადამზღვევის ვალდებულება კომპანიის მიმართ არ ათავისუფლებს კომპანიას ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე.

გადამზღვევის წილი პრემიებში და ანაზღაურებებში წარმოდგენილია სრული შემოსავლის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ბრუტო).

გადაზღვევის აქტივები მოიცავს მოთხოვნებს გადამზღვეველი კომპანიებიდან გადაზღვეულ სადაზღვევო ვალდებულებებზე. გადაზღვევიდან ამოსაღები თანხების შეფასება შეესაბამება გადაზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვსა და დარეგულირებულ ზარალებს.

გადაზღვევის მიღებული პრემია აღირიცხება მოზიდული პრემიის ანალოგიურად სადაზღვევო პროდუქტის და სახეობის გათვალისწინებით.

გადაზღვევიდან მისაღები თანხებს გაუფასურების შეფასება უტარდებათ ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის. გაუფასურება ხდება იმ შემთხვევაში თუკი მოვლენები ან გარემოებები მიუთითებენ, რომ კომპანიამ შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს მოდხოვნებიდან კუთვნილი თანხები და ამ მოვლენების ან გარემოებების ეფექტი გაზომვადია. გადაზღვევის აქტივებად აღირიცხება მხოლოდ ის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებს სადაზღვევო რისკის გადაცემას. ის კონტრაქტები, რომლებიც არ ითვალისწინებს არსებითი სადაზღვევო რისკის გადაცემას აღირიცხება როგორც ფინანსური ინსტრუმენტი.

(iv) გადავადებული აკვიზიციური ხარჯი

გადავადებული აკვიზიციური ხარჯი წარმოადგენს პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო აგენტებთან და ბროკერებთან გაწეული საკომისიო და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, თუკი ეს ხარჯები დაკავშირებულია მომავალში გამომუშავებულ პრემიებთან. გადავადებული აკვიზიციური ხარჯი მცირდება გაუფასურებულ პოლისებზე გასაცემი საკომისიოს ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია მომავალ პერიოდთან.

(v) ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებელი პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი და შესაბამისი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება, თუ საჭიროა იქმნება დამატებითი რეზერვი. ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(vi) სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები

სადაზღვევო მოთხოვნები წარმოქმნილი დამზღვევიდან, გადამზღვევლებისგან და აგენტებისგან წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და აღირიცხება როგორც სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები და არა როგორც სადაზღვევო რეზერვები ან სადაზღვევის აქტივები. კომპანია რეგულარულად ახდენს სადაზღვევო მოთხოვნების შეფასებას გაუფასურებაზე.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში

(i) არა-დერივატიული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებს და მოთხოვნებს როდესაც ისინი წარმოიქმნება. ყველა სხვა ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს, კომპანია აღიარებს როდესაც ის გახდება ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ერთ ერთი მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები ამ აქტივზე ან ამ აქტივიდან ფულადი ნაკადები წყდება ან, როდესაც კომპანია გადასცემს აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ნებისმიერი უფლება ან ვალდებულება, რომელიც დარჩა აქტივის გადაცემიდან აღიარდება როგორც აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები ამ ვალდებულებაზე გაუქმდა ან ამოიწურა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და ნეტო ოდენობა აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ არსებობს გაქვითვის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება და, ასევე, სახეზეა გაქვითვის, ან აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების ერთდროულად დარეგულირების განზრახვა.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ესეთი აქტივები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებას დამატებული პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯებთან ერთად. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზირებული ღირებულებას გამოკლებული გაუფასურება.

ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

კომპანია ფულად და ფულის ექვივალენტად აღრიცხავს ბანკში არსებულ ფულად ნაშთებს სამ ან ნაკლებთვიანი ვადიანობით.

(ii) არა-წარმოებული ფინანსური ვალდებულებები -გაზომვა

კომპანია არა-წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ესეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ეს ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზირებული ღირებულებით.

(iii) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარებულია როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გარეშე.

(d) ხარჯები

ხარჯები აღიარებულია დარიცხვის პრინციპით, იმ პერიოდის ანგარიშგებაში რომელიც მოხდა სერვისის მიწოდება.

(e) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე;
- უცხოური ვალუტის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისგან მიღებული მოგება ან ზარალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარება მოგება ზარალში ხდება მისი დარიცხვისას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის გადაფასების მოგება და ზარალი ნეტოდ არის წარმოდგენილი.

(f) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ღირებულება შეიცავს ხარჯებს რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის შექმნასთან. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა ინგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება. ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები ექვემდებარება შეფასებას და თუ კომპონენტს გააჩნია სასარგებლო მომსახურების ვადა, რომელიც განსხვავდება ამ აქტივის დანარჩენი ნაწილისგან, ეს კომპონენტი იცვითება ცალკე.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში, წრფივი დარიცხვის მეთოდით ქონებისა და აღჭურვილობის თითოეულ ნაწილზე განსაზღვრული მომსახურების ვადით, ვინაიდან ის ყველაზე უკეთ განსაზღვრავს აქტივის მიერ გამოყენებული მომავალი ეკონომიკური ღირებულებების მოხმარებას.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებებისთვის მერყეობს 5-დან 10 წლამდე.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და სალიკვიდაციო ღირებულება გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირებულია ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

(g) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ყოველი ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ფასდება იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ფასდება ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ აქტივი არის გაუფასურებული. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონიეს აქტივიდან მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რაც ობიექტურად შეიძლება იყოს შეფასებული.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- დებტორის დეფოლტი ან ბრალეულობა;
- თანხის რესტრუქტურირება კომპანიის პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავს.
- ნიშნები იმისა რომ დებტორი გაკოტრდება;
- ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც კავშირი აქვთ დეფოლტებთან.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია განიხილავს აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას, როგორც ინდივიდუალურ ისე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე. ისინი, რომლებიც ინდივიდუალური შეფასების შედეგად არ იქნება აღიარებული გაუფასურებულად, ფასდებიან კოლექტიურად ისეთ გაუფასურებაზე, რომელიც უკვე მოხდა, მაგრამ არ

ყოფილა იდენტიფიცირებული. ის აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არიან მნიშვნელოვანი კოლექტიურად ფასდებიან, მათ აჯგუფებენ მსგავსი რისკების მატარებელ აქტივებთან.

გაუფასურების კოლექტიური შეფასებისას კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის, მოთხოვნების მიღების ვადებისა და მომხდარი ზარალის ოდენობის ისტორიულ ტრენდებს, აკორექტირებს მათ ხელმძღვანელობის შეხედულებების შესაბამისად, მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება სხვაობით აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების ეფექტური პროცენტით დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებით. ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში და აისახება, როგორც რეზერვის ანგარიში მოთხოვნებთან მიმართებაში. როდესაც კომპანია ჩათვლის, რომ აღარ არსებობს აქტივის მიღების რეალური შესაძლებლობა, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. როდესაც გაუფასურების შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იყოს მიკუთვნებული მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების აღიარების შემდეგ, შემცირება აისახება გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ მოგება-ზარალში.

(ii) არა-ფინანსური აქტივი

გადავადებული გადასახადების და მარაგების გარდა, სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი. ამგვარის არსებობის შემთხვევაში დგინდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, აქტივები რომლების ინდივიდუალურად ვერ შემოწმდება გაერთიანებულია პატარა ჯგუფებად, რაც უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების შემოდინებას სხვა აქტივებისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებზე დამოკიდებულებით. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ გამოიმუშავენ ცალკეულ ფულად ნაკადებს და გამოიყენება ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან. კორპორაციული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებად გონივრულად და თანმიმდევრულად და მოწმდება გაუფასურებაზე როგორც ნაწილი იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელთანაც არის მიკუთვნებული.

ანაზღაურებადი თანხა აქტივისა თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის არის უდიდესი მისი გამოყენების ღირებულების და მისი რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვების ფასისა. გამოყენების ღირებულების დასადგენად, მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირებულია დღევანდელ ღირებულებამდე გადასახადებამდე დისკონტირების პროცენტით და ასახავს ბაზრის ახლანდელ შეფასებას დროში ფულის ღირებულების და რისკების სპეციფიკურ აქტივთან თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან მიმართებაში.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ზარალში. გაუფასურების ზარალი რომელიც აღიარებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან მიმართებაში განაწილებულია ისე რომ შეამციროს პროპორციულად შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების ზარალი რომელიც აღიარებულია წინა პერიოდში შეფასებულია ყოველი ანგარიშგების პერიოდში დროს გაუფასურების შემცირების რაიმე ნიშნებისთვის. გაუფასურების ზარალის შემცირება შესაძლებელია იმ ღირებულებამდე როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება აქტივის თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა და ამორტიზაცია, როდესაც გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული.

(h) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში აღიარებას. ამ შემთხვევაში ის აღიარებულია ერთობლივ შემოსავალში ან კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახდელი წლის დასაბეგრ მოგებაზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით. ასევე წინა წლის გადასახადებში ცვლილების შედეგად წარმოშობილი გადასახდელი.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აღიარებულია ფინანსური და საგადასახადო მიზნებისთვის, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების დროებითი სხვაობის მიმართ. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება დროებითი სხვაობისთვის, რომელიც წარმოიშვება აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას და არ არის კომპანიების გაერთიანება და არ მოქმედებს არც ბუღალტრულ და არც საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული გადასახადის ითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია რომ იყოს, როდესაც დროებითი სხვაობები ამობრუნდება, დასკვნის გაცემის თარიღისთვის ან თარიღის შემდგომ დადგენილი კანონების შესაბამისად.

გადავადებული საგადასახადო აქტივის შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგს, რომლის მიხედვითაც, კომპანია მოელის, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლის სამართლებრივი უფლება და ისინი უკავშირდებიან მოგები გადასახადს, რომელიც იბეგრება ერთი და იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთი და იმავე საგადასახადო სუბიექტზე ან სხვადასხვა საგადასახადო სუბიექტებზე, მაგრამ მათ განზრახული აქვთ მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების დაფარვა ნეტოს საფუძველზე ან აქტივების და ვალდებულებების ერთდროული რეალიზება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომელიც მიმართავს შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის უტილიზირება. გადავადებული საგადასახადო აქტივი მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და არის თუ არა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და დაგვიანებით გადახდაზე დარიცხული პროცენტები დამდგარი. კომპანიას მიაჩნია, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებზე საკმარისია ყველა ღია საგადასახადო პერიოდებზე უამრავი ფაქტორის შეფასებით, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და წარსული გამოცდილების.

აღნიშნული შეფასება ემყარება შეფასებებსა და დაშვებებს და შეიძლება მოიცავდეს რიგ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. ახალი ინფორმაცია შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს, რამაც შეიძლება შეაფასდეს კომპანიას აზრი არსებული საგადასახადო ვალდებულებების საკმარისობის თაობაზე; მსგავსი ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში გავლენას მოახდენენ საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდის ფარგლებში, როდესაც ასეთი განსაზღვრა კეთდება.

24 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის ძალაში შესული

რამდენიმე ახალი სტანდარტი, ცვლილება და ინტერპრეტაცია არ არის შესული ძალაში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად ისინი არ არის გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ქვემოთ მოყვანილი გაცხადებული ცვლილებები ან სიახლეები გავლენას იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. *კომპანია გეგმავს აღნიშნული სიახლეების მიღებას მას შემდეგ რაც ისინი შევა ძალაში.*

- ფასს 9, 2014 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფასს 9 ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნები. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებაზე და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანია აფასებს ფასს 9-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფასს 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. კომპანია აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასს 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მხოლოდ საბალანსო ანგარიშგების მოდელს, რომელიც მიმდინარე ფინანსური იჯარის ანალოგიურია. შეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. შეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). ეს სტანდარტი ჯერ არ არის ევროკავშირის მიერ დამტკიცებული. კომპანია აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- სხვადასხვა *ფასს-ის* გაუმჯობესებები განხორციელდა სტანდარტების მიხედვით. ყველა ცვლილება რომელიც განაპირობებს აღრიცხვიანობის ცვლილებას წარდგენაში, აღიარებაში ან შეფასებაში ძალაში შევა 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ გაუმჯობესების ეფექტი თავის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

25 შემდგომი მოვლენები

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზაობა კორპორატიული დაბეგვრის ე.წ. „ესტონურ მოდელზე“ გადასვლის თაობაზე, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. 2016 წლის 24 მარტს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაძლო ცვლილებები პარლამენტს წარედგინა განსახილველად. აღნიშნულ ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების საგადასახადო მოგებაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კორპორატიული დაბეგვრის ახალი სისტემა არ არის გამოყენებული არაკომერციულ ორგანიზაციებზე. მთავრობა გეგმას, რომ კანონი ძალაში შევიდეს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

2016 წლის 21 მარტს აქციონერმა გაზარდა კომპანიის სააქციო კაპიტალი 250 ათასი ლარით.